საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/7 "25" იანვარი 2023 წ.

# განკარგულება

**მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის შესახებ**

„მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №1/152 დადგენილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის" მე-4 მუხლის საფუძველზე:

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ეტაპი (ტესტური გამოცდა) ჩატარდეს 2023 წლის 11 მარტს, მეორე ეტაპი (წერითი გამოცდა) – 2023 წლის 18 მარტს.
2. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდეს საერთო და სპეციალიზაციების მიხედვით.
3. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2023 წლის 20 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი